ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

45 (10083) •17 noemberi • 2014 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

რა, სად, როდის

შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

ალიონი. ფონდ „სოხუმის“ ინიციატივით, ოთხ ქალაქში (ოზურგეთი, ბათუმი, ქუთაისი, სენაკი) საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრთა შეხვედრა პარლამენტში ვიცე სპიკერთან, მანანა კობახიძესთან გაიმართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ დეპუტატები ეკა ბესელია, გიორგი გოზალიშვილი. განხილული იქნა დებულება, რაც ითვალისწინებს საკრებულოებთან გენდერული საბჭოების შექმნას. დებულების შესახებ მოსაზრებები ოზურგეთიდან გამოთქვეს ოზურგეთის საბჭოს ხელმძღვანელმა ლელა ნაცვალაძემ, ჟურნალისტებმა გიორგი გირკელიძემ, ნინო ნიკოლაიშვილმა, დეპუტატმა ლალი სიჭინავამ. ოზურგეთის დელეგაცია მოინახულა ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზვიად კვაჭანტირაძემ.

ახალი თანამდებობრივი სარგოები ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში

ალიონი. . გასულ პარასკევს, 14 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავის რიგგარე სხდომაზე მიიღო და დამტკიცა დადგენილებები: ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ; ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ; ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა დ საკრებულოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა 2360-2360 ლარის ოდენობით.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა ახალი თანამდებობრივი სარგოები ასეთია: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 1615 ლარი; კომისიის თავმჯდომარე – 1280 ლარი, ფრაქციის თავმჯდომარე 1280 ლარი; აპარატის უფროსი – 950 ლარი; საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 750 ლარი; მთავარი სპეციალისტი – 680 ლარი; უფროსი სპეციალისტი 580 ლარი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობის პირთა და მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები კი ასე გამოიყურება: ვიცე-მერი – 1435 ლარი; მერის მოადგილე – 1235 ლარი; სამსახურის უფროსი – 950 ლარი; განყოფილების უფროსი – 770 ლარი; მერის თანაშემწე – 750 ლარი; მთავარი სპეციალისტი – 680 ლარი; წამყვანი სპეციალისტი – 630 ლარი; უფროსი სპეციალისტი – 580 ლარი; სპეციალისტი – 530 ლარი.

დადგინეს, რომ შესაბამისი დადგენილებები ამოქმედდეს 2014 წლის 1 ნოემბრიდან.

სხდომაზე მიღებულ იქნა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობას მკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“; ცვლილებები შეიტანეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 19 სექტემბრის №61 განკარგულებაში „ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“; ასევე ცვლილებებია საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 22 აგვისტოს №46 განკარგულებაში „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“; დამტკიცეს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა.

შრომის საჯარო სკოლა –150

საჯარო სკოლა, რომელიც თავისი დიდებული წარსულით, ღირსეული აწმყოთი და ნათელი მომავლის იმედით ცოცხლობს

ალიონი. გასულ პარასკევს, 14 ნოემბერს სოფელ შრომის (ყოფილი მიქელ-გაბრიელი) საჯარო სკოლამ დიდი იუბილე, დაარსებიდან 150 წლისთავი იზეიმა.

,,...ცოდნა თითონ, თავის თავად სიმდიდრეა,მერე იმისთანა სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. – საზეიმო ცერემონიალის მიმწყობ მასპინძლებს და მოწვეულ სტუმრებს რომ გადავხედეთ, ერთი გაფიქრება გავიფიქრეთ, რომ ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის შეგონებას ყველაზე მეტად ამ სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე უმოქმედია, დაწყებული თეოფანე კალანდარიშვილიდან – პირველი პედაგოგიდან და მოსწავლეებიდან დამთავრებული დღევანდელი მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. ვერ წარმოვიდგენდით,რომ ერთ სოფლის სკოლას შეეძლო აღეზარდა ამდენი სახელოვანი ადამიანი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ მეცნიერებაში, მწერლობაში, ხელოვნებაში არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მათ სრულ ჩამონათვალს და რეგალიებს,რა გინდ აუცილებელი უნდა იყოს, არათუ მცირეფორმატიანი „ალიონი“, არამედ საქართველოში მოქმედი ვერც ერთი ფართოფორმატიანი გაზეთი ვერ დიტევს. მაგრამ, ტრადიციებიდან გამომდინარე, აუცილებლობაზე მეტად მიგვაჩნია იმ ხალხის მოხსენიება, თუნდაც ორიოდე სიტყვით, ვინაც თავის დროზე იდგა სკოლის დაარსების სათავეებთან და, ბუნებრივია, ახლა წუთისოფლიდან „დიდ სოფელში“ არიან გადასაცვლებული.

▶▶▶ გვ-2

მთისპირელები „გვიმრაზე გამობმული“ მაღალი ძაბვის ხაზებსა და წყლის პრობლემებზე ხმამაღლა საუბრობენ

ალიონი. გასულ პარასკევს, სოფ. მთისპირში გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემთა საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი პრობლემები მოისმინეს.

როგორც ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა მთავარი თემა სასმელი წყლის მრიცხველების დადგმა იყო. ამასთანავე, ისინი ითხოვდნენ "ენერგო პრო -ჯორჯიასაგან" გამრიცხველიანების დაჩქარებას და შემის მოსაჭრელად ტყეკეფების მისადგომ ადგილებში გამოყოფას.

ლევან ბოლქვაძე:- საიდან მოვიტანოთ შეშა, არ ვიცით. ფოქაში და სოფლიდან დაშორებულ ისეთ ადგილებში იძლევიან მოჭრის ნებართვას, სადაც ტექნიკა ძნელად უდგება. არ შეიძლება სოფლის სიახლოვეს გაიცეს ხის მოჭრის ნებართვა? ან ელექტრო-

▶▶▶ გვ-3

ცნობა

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” საჯარო განხილვის თაობაზე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, დაიწყო ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვა საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში.

სამშაბათს 16.00 საათზე - სოციალურ საკითხთა კომისია
სამშაბათს 13.00 საათზე - ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის”
ოთხშაბათს 13.00 საათზე - ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი”
ოთხშაბათს 15.00 საათზე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
ოთხშაბათს 17.00 საათზე - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
ხუთშაბათს 16.00 საათზე - საფინანსო - საბიუჯეტო, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”

მისამართი მ. კოსტავას №1

აბრეთვე დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი იხილონ მოცემულ ვებგვერდზე http://ozurgeti.org.ge/ . დაინტერესებულ პირებს საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2014 წლის 25 ნოემბრამდე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
17.11	18.11	19.11	20.11	21.11	22.11	23.11
მზე, ღრუბელი	მზე,	მზე, ღრუბელი	ღრუბელი	წვიმა,	წვიმა	წვიმა,
+10+17	+9+18	+11+19	+12+19	+10+17	+10+15	+9+12

რა, სად, როდის გამწვანების აქცია ოზურგეთში

„ალიონი“ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში“ ოზურგეთის რაიონულმა პროკურატურამ მორიგი აქცია მოაწყო. ამჟამად მთ ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ქ. ოზურგეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის ეზოში 50 ძირი ნეკერჩხლისა და კაკლის ნერგები დარგეს. აქციაში №4 საჯარო სკოლის პედაგოგები და საჯარო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

ნერგები მოსწავლეებთან ერთად დარგეს ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა მალხაზ სირაძემ და პროკურორმა პეტრე სალუქვაძემ.

„საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში აქცია ქ. ლანჩხუთში და დაბა ჩოხატაურშიც გაიმართა.

მთისპირში საბავშვო ბაღი მისამართს იცვლის

ალიონი. სოფ. მთისპირში საბავშვო ბაღი ე.წ. „პსიოლკაზე“ მდებარეობს. შენობა ამორტიზებულია და პედაგოგები სოფლის ცენტრთან სიშორეზეც საუბრობდნენ. ამ თემაზე ისინი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შეხვდნენ და დაპირება მიიღეს, ბაღის სოფლის ცენტრში გადმოტანაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სათანადო სახსრები გამოიბნა და ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლის ყოფილი საქმიო უბნის შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები.

მშენებლობის მიმდინარეობის პროცესი გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მოინახულეს.

— ჩვენ რაც შეგვეძლო ამ ეტაპზე გავაკეთეთ. საბავშვო ბაღი სოფლის ცენტრში გადმოვა და მუშობის პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. სარემონტო სამუშაოების ტემპი დამაკმაყოფილებელია და მალე მთისპირელი პატარები ახალმოსახლეობას იზეიმებენ.

ირაკლი შიხიაშვილი ოზურგეთში

ალიონი: საქართველოს ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გუშინ ქ. ოზურგეთში შეხვდა პირველი მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანებს. შეხვედრაზე განიხილეს ვეტერანთა სადღეისო პრობლემები. შიხიაშვილმა დახმარება აღუთქვა ოზურგეთელ ვეტერანებს.

შრომის საჯარო სკოლა –150

საჯარო სკოლა, რომელიც თავისი დიდებული წარსულით, ღირსეული აწმყოთი და ნათელი მომავლის იმედით ცოცხლობს

ამ მიზნით, მოვიშველიებთ სკოლის დირექტორის ქალბატონი რუსუდან ცეცხლაძის მერ მომზადებულ და გამოცემულ ბუკლეტს „სოფელ შრომის საჯარო სკოლა — 150“

როგორც ქალბატონი რუსუდანი აღნიშნავს, საზოგადო მოღვაწე და სოფელ შრომის პირველი მასწავლებელი თეოფანე კალანდარიშვილი გაზეთ „ივერიაში (№216, 1892 წლის 12 ნოემბერი) წერდა: „ბატონყმობის გადავარდნას ორი წელი აკლდა, რომ აქაურმა მებატონემ მიხეილ ნაკაშიძემ თავისი ხარჯით დაარსა სკოლა ამ სოფელში ყმაწვილთათვის. სკოლაში ძალით თუ ნებით ბლომათ იყვნენ ყმაწვილები და იმ დროის კვალობაზედ კარგს ცოდნას იძენდნენ“.

სოფლის ერთკლასიან პირველ და მეორეგანყოფილებიან სკოლას მეტად რთული გზა გაუვლია... სოფელს თანდათან შეუგრძნია სწავლა-განათლების საჭიროება და 1894 წელს სკოლა ორკლასიანი გამხდარა. საკმაოდ დიდი კორიდორით, შენობაც აუშენებიათ იქვე, მაღლობზე. გაზრდილა მასწავლებლების რაოდენობაც. თეოფანე კალანდარიშვილთან ერთად, სკოლაში მოღვაწეობდა ასევე გამორჩეული მოძღვარი არსენ წითლიძე.

სახელოვანი მამის საქმე ღირსეულად განუგრძია საფრანგეთიდან ახალდაბრუნებულ მეცენატ მიშა ნაკაშიძეს — მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის ბაბუას. მას გულთან ახლოს მიუტანია სოფლის გასაჭირი — უსახსრობის გამო, სკოლას დროებით შეუწყვეტია არსებობა,— და მოკლე ხანში ფეხზე წამოუყენებია იგი, მატერიალური შემწეობა გაუღია, ქველმოქმედებიც ამოუყენებია გვერდით, იმ დროის კვალობაზე კეთილმოუწყვია სკოლა შესაბამისი ინვენტარით, შეუძენია ახალი წიგნებიც...

1917 წლიდან მიქელ-გაბრიელის ორკლასიანი სკოლა ოთხკლასიანად გადაკეთდა, ხოლო 1923 წლიდან — შვიდწლიანად. 1939 წელს კი, შრომელების ძალისხმევით, გაიხსნა საშუალო სკოლა...

შრომის საშუალო სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორც გახლდათ: ჟენია სამსონია, ვალერიან ქვილორია, რუბენ სირაძე, ქეთევან სარჯველაძე, მიშა კალანდარიშვილი, ნიკიფორე დოლიძე ჯაბა ჯაყელი, ალექსანდრე ბოლქვაძე, თეოლინე გიორგაძე, რევაზ ჩხაიძე, ზურაბ ხომერიკი.

სკოლის ამჟამინდელმა დირექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ცეცხლაძემ, თავის სიტყვაში ყველას პატივი მიაგო, განსაკუთრებით გამოჰყო ბატონების რევაზ ჩხაიძისა და ზურაბ ხომერიკის ღვაწლი, რომლებიც შესაბამისად 30 და 11 წელი ხელმძღვანელობდნენ სკოლას. ამაგი დაუფასა დღევანდელ პედაგოგებსაც, რომლებიც დიდი რუდუნებით ასრულებენ სწავლების სახელმწიფოებრივ მისიას.

ამ პედაგოგების და თავად რუსუდან ცეცხლაძის დამსახურებაა ის, რომ სკოლა დღეს „კარგ სპორტულ ფორმაშია“, განახლებულია და მოძიებული ახალი ექსპონატებით შევსებულია სკოლის მუზეუმი — უტყუარი მემატიანე ამ სასწავლებლის 150-წლიანი ისტორიისა.

საუბილეო ღონისძიებას ესწრებოდნენ ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თავკაცები, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, სხვადასხვა სკოლების პედაგოგები, ჟურნალისტები. საზეიმო კონცერტის მსვლელობის დროს გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა სკოლის ღვაწლმოსილ 9 პედაგოგს, სპეციალური სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვა ოუბილარი სკოლის 30 პედაგოგი განათლების პროფკავშირის ორგანიზაციის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა როზა გოგუაძემ.

მოკლედ, როგორც საუბილეო ღონისძიებაზე წარმოჩინდა შრომის საჯარო სკოლა თავისი დიდებული წარსულით, ღირსეული აწმყოთი და ნათელი მომავლის იმედით ცოცხლობს.

თვალშისაცემია, რომ ოზურგეთში წარსულში ერთგვარად მიძინებული კულტურული ცხოვრება იღვიძებს და ცოცხლდება

არაერთგზის მითქვამს და აქაც გავიმეორებ, თუ გვინდა ჩვენი ქვეყნის ფორმულა ორიოდე სიტყვით გამოვსახოთ, საქართველო ეს არის - ქართული კულტურა. იმ ერს აქვს მიჩენილი თავისი განუმეორებელი ადგილი კაცობრიობის მარადიულობაში, რომელიც გაითავისებს, რომ საწყისი, სათავე, ბაზისი ცნობიერებაა, ხოლო შემდეგ ყოფიერება და არა პირიქით.

თუ რაიმე სფეროში გამოავლინა ქართულმა გენმა მსოფლიო მასშტაბის ფენომენური ნიჭი, ეს უპირველესად, არის ჩვენი ხელოვნება და მწერლობა. თანამედროვე მსოფლიოში კი გლობალიზაციისა და მასკულტურის პირობებში, ნაციონალურ კულტურებს ნიველირებისა და გაქრობის საფრთხე ემუქრებათ. ამიტომ ის ხელისუფლება შეიძლება ჩაითვალოს გონიერ, პატრიოტ და საკუთარი ქვეყნის მომავალზე მოფიქრალ მმართველად, რომელსაც შინაგანად გათავისებული აქვს ეროვნული კულტურის არსი და მნიშვნელობა, გვერდში უდგას მას, არის მისი შემწე და თანამდგომი.

შესავლის შემდეგ ძირითად სათქმელზეც გადავალ. მოხდა ისე რომ, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში ხელისუფლება შეიცვალა, რამდენჯერმე მომიწია ჩემს მშობლიურ ოზურგეთში ჩამოსვლა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებასა და სახალხო დღესასწაულზე. თვალშისაცემია, რომ წარსულში ჩვენს რაიონში ერთგვარად მიძინებული კულტურული ცხოვრება იღვიძებს, ცოცხლდება, ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ ფორმებსა და საშუალებებს ეძებს. ამ საქმეში უდავოდ დიდია ღვაწლი ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელების, კულტურის თითოეული მუშაკისა. ერთ-ერთი დასამახსოვრებელი, თვალსაჩინო ღონისძიება გახლდათ ჩემთვის ამ რა-მდენიმე დღის წინ გამართული საერთო სახალხო დღესასწაული „ოზურგეთობა“, სადაც



წარმოდგენილ იქნა ჩვენი სულიერი და ყოფითი კულტურა, გენიალური ფოლკლორი. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ განსაკუთრებული პატივი მიეგოთ ჩვენი რაიონის მკვიდრთ, ქართულ კულტურის კორიფეებს, მერაბ ბერძენიშვილსა და ანზორ ერქომაიშვილს, ასევე რაიონის დიდად ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ადამიანებს. საიმედო დასაწყისია, დარწმუნებული ვარ მომავალში უფრო გაიზრდება ღონისძიებათა მასშტაბი, კიდევ უფრო გამდიდრდება ახალი ფორმებითა და საშუალებებით, უპირატესად წინ წამოიწევს სულიერი და შემეცნებითი მხარე. თავის მხრივ, საქართველოს რუსთაველის საზოგადოება გამოთქვამს სრულ მზადყოფნას ოზურგეთისა და დედაქალაქის სულიერი ცხოვრების დაახლოების საქმეში, სურვილს იმისა, რომ მოეწყოს კულტურის მოღვაწეთა ორმხრივი შეხვედრები როგორც ოზურგეთში, ასევე თბილისში.

და ბოლოს, წარმატებების გულწრფელი სურვილებით!

მიგულეთ თქვენ გვერდით!

დავით შემოქმედელი

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი.
ქართული კულტურის დესპანი.
გალაკტიონ ტაბიძის პრემის ლაურეატი.

მოშე საპირი ქ. ოზურგეთში

ალიონი. ისრაელიდან, ქ. კირიათიამის დელეგაციას საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ადვოკატი მოშე საპირი ხელმძღვანელობდა. ქალაქის მერთან ოფიციალური შეხვედრის შემდეგ იგი ქ. ოზურგეთში მცხოვრებ ერთადერთ ებრაულ ოჯახს ესტუმრა. მისი მასპინძელი 79 წლის ტონია პაპისმედოვა იყო.

მოშე საპირი ერთგვარ „მასპინძლის“ როლშიც აღმოჩნდა. მან ისრაელიდან ჩამოტანილი ყავა მოამზადა და გაუმასპინძლდა „სტუმრებს“.

მოშე საპირმა გაზეთ „ალიონთან“ ისაუბრა, იმ პერსპექტივებზე, რაც შეიძლება განხორციელდეს ქ. ოზურგეთსა და ქ. კირიანთ-იამის დამეგობრების შემთხვევაში. ამ ქალაქთან დამეგობრების სურვილი ქ. ფოთსაც აქვს.

მოშე საპირს ქ. თბილისში მელიქიშვილის ქუჩაზე, სასტუმრო „საქართველოს“ წინ საადვოკატო კანტორა აქვს გახსნილი და საადვოკატო მომსახურებას ეწევა. აფინანსებს ქართულ-ებრაულ ჟურნალს.

მისი ამჟამინდელი მასპინძელი ოზურგეთის „სერვისცენტრის“ ხელმძღვანელი ვოვა სალუქვაძე იყო.

კახა ბენდუქიძე ბავშვობისას ოზურგეთს სტუმრობდა

ალიონი. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე ბავშვობისას, დედასთან, ცნობილ ეთნოგრაფთან, პროფესორ ვული როხაძესთან ერთად ოზურგეთს სტუმრობდა. მათი მასპინძელი აკადემიკოს აკაკი მჟავანაძის ოჯახი იყო. „საყვარელ ნაზიკოს და აკაკის. ვული. 1962 წ.“ ასეთი წარწერით გადაუცია ქალბატონ ვულის ეს სურათი ახლობლის ოჯახისათვის. კახა მაშინ 6 წლის იყო.

კახა ბენდუქიძე 58 წლის ასაკში გარდაიცვალა ლონდონში.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი რესპუბლიკურ ფორუმზე

ალიონი. ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წარმატებული საქმიანობა არა მხოლოდ ოზურგეთში, არამედ მთელ ქვეყანაშია ცნობილი. 14 ნოემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა მონაწილეობა მიიღო მრავალპროფილიანი, სასწავლო, კულტურული, სპორტული და სკოლისგარეშე პროფილის საგანმანათლებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ ფორუმში, რომელიც თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო აღმზრდელობით დარგში ქალბატონმა ლეილა კოსტავამ.

კოსტავას თქმით, ფორუმზე განხილული თემები აუცილებლად პოვებს ასახვას ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ახალ პროექტებში.

მთისპირელები „გვიმრაზე გამობმული“ მაღალი ძაბვის ხაზებსა და წყლის პრობლემებზე ხმამაღლა საუბრობენ

აზები რა მდგომარეობაშია. ცალკეულ უბნებში ყველა ელექტრობოძი შესაცვლელია.

რატომ უნდა დაგვიდგან წყალზე მრიცხველები? არ მოვრწყთ გვალვისას ბოსტნები? რატომ არ შეიძლება ფიქსირებული გადასახადი იყოს?

სოფლის მთავარი სიმდიდრე- ბენტონიტური თიხების კარიერი ბერძნების ხელშია. ისინი კარიერს არ ამუშავებენ და ჩვენ იმის უფლება არ გვაქვს კარიერის მიდამოებიდან ღორღი გამოვიტანოთ, რომ სოფლის შიდა გზა მოვხრეშოთ.

გია ნაკაიძე, "ენერგო პრო-ჯორჯიას" ოზურგეთის სერვისცენტრის ხელმძღვანელი:- მთისპირში 275 ამონენტი გვყავს და 350 ბეტონის ანძა გვესაჭიროება. თუ არ გაგვითოვდა, 2015 წლის 20 იანვრიდან დავიწყებთ სამუშაოებს და ორ თვეში დასრულდება. გამრიცხველიანების სამუშაოები შესასრულებელია სოფლებში — შრომა, ჯუმათი, სილაური, ძიმითი, ნაგომარი.

ამირან კვარაცხელია: - ეს სამუშაოები წელს უნდა დასრულებულიყო. გამოდის, რომ იანვარში მთისპირში თუ გათოვდა, გამრიცხველიანების ვადა გადაიწევს.

ზურაბ ასათიანი: - მაღალი ძაბვის ხაზები გვიმრაზეა გამობმული... შს "ნდს მშენებლობას" საუბნო გზების შუაგულში გაჰყავს მილები. ბევრი გზა დანგრეულია...

ომარ მახარაძე: - სოფლის წყალსადენი 1989 წელს გავიყვანეთ ადგილობრივი სახსრებით. ჩვენი თანასოფელი, მაშინდელი პოლიციის უფროსი გერმანე თალაკვაძე დაგვეხმარა და უკრაინიდან ჩამოიტანა წყლის მილები. მშენებლობაში სულიკო ცქვიტინიძე დაგვეხმარა. ხალხის ფულით 4 კილომეტრი მილი ჩავდევით, შემდეგ სათავე მოვაწყვეთ და სოფელს მისი წყალი ჰქონდა. ახლა, მშენებლებმა ძირითადად ჩვენი მთავარი ქსელი გამოიყენეს და გვეუბნებიან მრიცხველები უნდა დავდგათო. უნდა იყოს ფიქსირებული გადასახადი.

ზორენა ინწკირველი: - მძიმე მდგომარეობაშია გზა უკანავს მიმართულებით. ბავშვების გადაყვანა ტრანსპორტით სკოლაში ასეთ გზაზე საშიშია.

ნათელა ვაშალომიძე: -ჩვენი უბანი სკოლას დაშორებულია. 8 ბავშვი დადის სკოლაში, მაგრამ ტრანსპორტი არ ემსახურება.

გიორგი ჩხაიძე, გურიის გუბერნატორი: - გურია ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი მხარეა რეგიონებში. წინა ხელისუფლებამ ძალიან ცოტა გააკეთა გურიისათვის 9 წლის განმავლობაში. რომ იტყვიან, გურია წყალს მიაქვს და მაინც სასმელი წყლის პრობლემაა. 1 200 ათასი ჩადო მუნიციპალიტეტმა და მთისპირასკანას, მშვიდობაურს წყლის პრობლემა არ ექნება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ კეთდება საუკეთესო საქლორატორო და მიიღებთ საუკეთესო ხარისხის წყალს. ჩვენ ვიზრუნებთ სოფლის იმ გზებზეც, რომლებიც არ შეკეთებულა, მაგრამ ჩვენ, რა პირობებშიც არ უნდა ჰქონდეს ინვესტორს კარიერი შეძენილი, ვარანაირად ვერ დავარღვევთ მესაკუთრის უფლებებს. ჩვენ ამითაც განვსხვავდებით წინა ხელისუფლებისაგან.

მერაბ ჟანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი:- ამ სოფელში ყველა პრობლემაზე ვმუშაობთ. დააყენეთ საკითხი და სბავშვო ბაღისთვის თანხები გამოვყავით. წელს სოფელში გზები შევაკეთეთ. თუ მშენებელმა რომელიმე მონაკვეთი დაზიანა, გაკეთდება. მალე გამრიცხველიანებაც დაიწყება. რაც შეეხება წყლის გამრიცხველიანების საკითხს, რამდენად მართებულია ერთნაირად გადასახადის გადასახადი იმ მომხმარებელმა, რომელიც ცოტას ხარჯავს და იმნაც, რომელიც წყალს ბევრს მოიხმარს. ასეთი მიდგომა არასწორი იქნება. ჩვენ მთიპირის პრობლემები არასდროს დაგვიტოვებია ყურადღების გარეშე და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ და მოსახლეობამ განხილულ საკითხებზე კონსესუსს მიაღწიეს. საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია ამბობს, რომ ,,წყლის გადასახადის ოდენობას სეწმეკი ადგენს. დარწმუნებული ვარ, სეწმეკი მაღალმთიან სოფელს წყლის გაცილებით ნაკლებ გადასახადს დაუწესებს, ვიდრე ქალაქის მომხმარებლებს“.

რეფორმების თუ პოლიტიკის ახალი ტალღა?!

ალიონი. პროექტმა ,,სახელმწიფო 3.0: რეფორმების ახალი ტალღა“ ოზურგეთში გასული კვირის ოთხშაბათს, 12 ნოემბერს მოაღწია. როგორც ,,დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ პრეზენტაციაზე პრეზენტატორმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ გიგა გლუნჩაძემ განაცხადა, ხსენებული პროექტი მიზნად ისახავს შექმნას მექანიზმები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება კონკრეტული პრობლემების ინოვაციურ გადაწყვეტაზე და ხელს შეუწყობს სინიციატივო ჯგუფების ფორმირებას.

,,დღეს, ჩვენი საზოგადოების გამოწვევების საპასუხოდ, საჭიროა ახალი და მძლავრი რეფორმები, რომლებიც ტენდენციების გათვალისწინებითა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით, ახალ შესაძლებლობებს მისცემს როგორც საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე მთელ საზოგადოებას.

პროექტის ფარგლებში ათასობით მონაწილე იმუშავებს 12 თვითმმართველ ქალაქში და ხუთი კონკრეტული მიმართულებით ყველა მსურველს ექნება საშუალება, მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ქალაქის ჯანდაცვის, განათლების, სამართალდამცავი სისტემის, ეკონომიკის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში, რომელთა განხორციელება სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული,— აღნიშნა გლუნჩაძემ.

მისივე თქმით, ნებისმიერ პირს, 16 წლის ასაკიდან, რომელიც წარმატებით გადალახავს საკონკურსო პირობებს, საშუალება მიეცემა განავითარონ XXI საუკუნისათვის აქტუალური უნარები. მიღებული გამოცდილება ახალგაზრდებს გამოადგებათ კარიერულ წინსვლაში და საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებაში. პროგრამა აგებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა (**Problem Bazed Learning-PBL**), **qraudsorsingis (Crowdsoursing**) და ინოვაციური მართვის მეთოდებზე. მსგავს განათლებას საქართველოს ახალგაზრდები ვერ მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში.

პროექტი რომ მიმზიდველია (განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის) ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ლოგიკურად ჩნდება ასეთი კითხვა: ,,სახელმწიფო 3.0 — რეფორმების ახალი ტალღაა“ თუ პოლიტიკისა?! და აი, რატომ:

— პრეზენტატორი, როგორც უკვე ვთქვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარეა, რომელიც წლების წინათ ოზურგეთში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონულ შტაბში მოღვაწეობდა. ამ დროს ხარაგაულელებმა, როგორც იქაურმა ჟურნალისტებმა გვაცნობეს, თავიანთი საკრებულოს თავმჯდომარის ასავალ-დასავალი არ იცოდნენ. გარდა ამისა, გლუნჩაძეს აშკარად არ მოეწონა ჩვენი შეკითხვა, თუ ვინ არიან პროექტის დამფინანსებლები. ,,მგონი, ეს არ არის მთავარი, ამ წუთში ინოვაციების და განვითარების ფონდია და ამ საკითხზე 3-4 დონორთან მიმდინარეობს მოლაპარაკება“, — საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლებულ საკმაოდ კარგ ორატორს სათქმელი წაუბორძიკდა;

— თუ პროექტი საზოგადოებრივია, რატომ არ მიიწვიეს პრეზენტაციაზე ადგილობრივი ხელისუფლება და სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებიც, რატომ შემოიფარგლენ ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციით და რატომ ჩართეს მასში ნაწილობრივ, თანაც პრეზენტაციის დაწყებამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე დანარჩენი ოპოზიცია? რესპუბლიკური პარტიის წარმომდგენელმა მაია ქოჩიშვილმა ,,ალიონთან“ საუბარში დაადასტურა, რომ მას ამ პრეზენტაციის შესახებ შეხვედრის დაწყებამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე დაურეკეს.

— და ბოლოს, გასაგებია, რომ პროექტი ახალგაზრდობაზეა გათვლილი, მაგრამ რამდენადად მიზანშეწონილი იყო პრეზენტაციის დაწყება 14 საათზე, ანუ მაშინ, როცა სკოლებში, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, ჯერ კიდევ გაკეთილები მიმდინარეობს?! ღონისძიებაზე ხომ საკმაო რაოდენობით იყვნენ უფროსკლასელები რამდენიმე საჯარო სკოლიდან. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს ყველაფერი დარბაზის შესავსებად მოხდა, მაგრამ მსგავსი შეხვედრისთვის სულაც არ არის აუცილებელი საჯარო სკოლების მოსწავლეთა სწავლის პროცესს მოწყვეტა, რასაკვირველია, თუ ეს შეხვედრა სწავლებაზე დიდ მიზნებს არ ემსახურება

რა პროექტები მოამზადა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა 4 აგვისტოდან დღემდე

ალიონი: რა პროექტები მოამზადა ოზურგეთის თემების მუნიციტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა 4 აგვისტოდან (შეეწინის თარიღია) დღემდე? ამ კითხვით მივმართეთ ხსენებული სამსახურის ხელმძღვანელს გიორგი ხარაბაძეს. ხარაბაძის თქმით, ამ მოკლე დროის განმავლობაში სამსახურმა მოამზადა შემდეგი პროექტები:

- **პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მჩაიობის დარგის რეაბილიტაციის შესახებ**, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული 1000 ჰექტარი ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციას. პროექტის ღირებულება 11 მილიონ 214 ათასი ლარია, ხანგრძლივობა - 3 წელი. პროექტში მოყვანილია ეკონომიკური დასაბუთება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის არამარტო მოგების თვალსაზრისით (წლიური წმინდა მოგება 11 მილიონ 182 ათასი ლარი) არამედ დასაქმების პერსპექტივითაც (დასაქმდება დაახლოებით 2600 ადგილობრივი მცხოვრები). პროექტი გადაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცაიეობის დარგში მომუშავე სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ქვეყანაში მეცაიეობის დარგის რეაბილიტაციაზე. პროექტი მოწონებულია და ჩვენ მიერ გაკეთებული ეკონომიკური გათვლებიც მათთავის მისალია .

- **პროექტი თხილის პლანტაციის გაშენების შესახებ,** რომელშიც აღნიშნულია როგორც თხილის მოყვანის აგროტექნიკური რეკომენდაციები კლასიკური თუ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანის მეთოდით, ასევე ეკონომიკური გათვლები ყოველწლიური დანახარჯებისა და შემოსავლის შესახებ

- **პროექტი ციტრუსის პლანტაციების გაშენების შესახებ** თავისი აგროტექნიკური რეკომენდაციებითა და ფერმერებისთვის ეკონომიკური მომგებიანობის დასაბუთებით

- **პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საცდელ-სადემონსტაციო ნაკვეთის მოწყობა,** რომლის ხორცშესხმით სოფლის მეურნეობით დაინტერესებული პირები, რომ გაიღრმავებენ ცოდნასა და უნარებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სფეროში, რაც საბოლოოდ მომგებიანს გახდის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

მოვამზადეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული გეგმა 2015-2017 წლებისთვის.

გარდა პროექტებისა, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა მოამზადა პრაქტიკული რეკომენდაციები თხილისა და ციტრუსის გაშენებით დაინტერესებული ფერმერებისთვის; სხვადასხვა საკითხში პრაქტიკული კონსულტაციები გაუწია ფერმერებსა თუ ბიზნესით დაინტერესებულ ადგილობრივ მოსახლეობას.

სტიქიით დაზარალებულებს წითელი ჯვრის საზოგადოება დაეხმარა

ალიონი. წითელი ჯვრის საზოგადოების ოზურგეთის ფილიალის წარმომადგენლობამ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ამანათები გადასცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან მერაბ ჭანუყვაძესთან და გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დღეს ,,წითელმა ჯვარმა“ სოფელ შემოქედში გუდაკაძეების, ჰეშკოვების, ცუხიშვილებისა და მენაბდეების ოჯახებს ჰუმანიტარული დახმარება მიუტანა. ამანათების შემადგენლობაში საკვები პროდუქტები და ჰიგიენური ნივთები შედის, რომლებიც, ასევე, გადაეცემა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის სტიქიით დაზარალებულ ოჯახს.

საზოგადოება ,,წითელი ჯვარი“ ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც მოსახლეობას არამატერიალური საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით ეხმარება. როგორც საზოგადოების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მის მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრაზე განმარტეს, ორგანიზაცია მზადაა მუნიციპალიტეტებს შესაბამისი დახმარება სგანგებო სიტუაციების დროსაც გაუწიონ.

— ვიმედოვნებთ ერთ-ერთი სამგალითო ,,წითელ ჯვართან“ თანამშრომლობის კუთხით, რადგან ჩვენი სოფლების თითქმის 70% მეწყერსაშიშ ზონაშია, ხშირად დგება პირველადი დახმარების საჭიროება, რის საშუალებაც, სამწუხაროდ, ადგილობრივ ბიუჯეტს არ აქვს. ამიტომ მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის მხარდაჭერა. ჩვენ კატეგორიულად დავყოფთ მოსახლეობას და ის, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს დახმარებას, პირველ რიგში დაკმაყოფილდება, - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

გურიის რეგიონის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი მიმდინარე თვის 22 წლის გახდა

ალიონი. ცენტრიდან დელეგატთა ჯგუფი თენგო ჭიტაძე, თამუნა ლურსმანაშვილი, დათო მენაბდე და ჯგუფის ხელმძღვანელი, თამთა დოლიძე, გასული თვის ბოლოს თბილისში იმყოფებოდნენ. დედაქალაქში მათი გამგზავრების მიზეზი არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო კრება იყო, რომელიც კოალიცია ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრას თითქმის ყველა ორგანიზაცია ესწრებოდა, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხებზე. შეხვედრა 30-31 ოქტომბერს გაიმართა, მისი მიზანი იყო მონიტორინგის ჯგუფის, იმპლიმენტაციის ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და მონიტორინგს გაუწევს გაეროს მიერ 2006 წელს მიღებულ კონვენციის რეალობაში დანერგვას. აღნიშნულ კონვენციას საქართველო გასულ წელს შეუერთდა. მონიტორინგის ჯგუფის შექმნა დაეკალა სახალხო დამცველის აპარატს. გადაწყვეტილება, რომ მონიტორინგი ეწარმოებინა სახალხო დამცველის აპარატს მიიღო პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, 27 ოქტომბერს.

უფროსი თაობის მემუარებიდან

მიყვარს ჩემი მეგობრები და მდინარე სუფსა

ეს იყო სამოცდათხუთმეტი წლის წინათ, ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში, მათ შორის ოზურგეთშიც, გოგონები და ვაჟები ცალ-ცალკე სწავლობდნენ. რისთვის იყო საჭირო ეს, დიდხანს ვერ ვაცნობიერებდი. ალბათ, დრო იყო ისეთი, ექსპერიმენტი ტარდებოდა განათლების სისტემაში, რასაც სათანადო შედეგებიც მოჰქონდა. გოგონების მხრიდან შეინიშნებოდა მეტი თავაზიანობა, თავდაჭერილობა, ვაჟები კი უფრო ვაჟკაცურები, გოგონებისადმი მორიდებულები და პასუხისმგებლიანი ჩანდნენ.

ახლანდელ პირველ საჯარო სკოლას, რომელიც 1949 წელს დავამთავრე, ვაჟთა სკოლა ერქვა, ხოლო ახლანდელ მეორე და მესამე საჯარო სკოლებს – შესაბამისად ქალთა პირველი და ქალთა მეორე საშუალო სკოლები. ტერიტორიულად ჩვენი სკოლა უფრო ახლოს არის პირველ სკოლასთან, ყოველდღე უნდა ჩაგვევლო მის წინ. ერთი გენახათ, რა თავისებური ზეიმი, ჟივილ-ხივილი, ე.წ. „არევებიც“ კი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს შორის არსენ კეჭაყმაძე გამოჩნდებოდა. იგი მეტად ცელქი, მოუსვენარი, მაგრამ ყველასთვის ძალიან საყვარელი ბავშვი იყო, დიდი იუმორის მქონე, რის გამოც როგორც ვაჟების, ისე გოგონების მეტ ყურადღებას იქცევდა, ნიჭიერებითაც გამოირჩეოდა, განსაკუთრებით რუსულში, ამ საგანში მოსწავლეთა უმეტესობა აშკარად მოვიკოჭლებდით. რუსული ენისა და ლიტერატურეს მასწავლებელი, ბატონი სამსონ ჯაში მეტად მკაცრი, მომთხოვნი, მცოდნე და პრინციპული იყო. გაკვეთილზე რომ შემოვიდოდა, ერთი გადახედვით ხვდებოდა, ვინ იცოდა გაკვეთილი და ვინ – არა. შეგნებულად არსენს გამოიძახებდა, თვითონაც სულიერად ისვენებდა და ჩვენც, რომ იტყვიან, სულს მოვითქვამდით, ვფიქრობდით, დღეს კი გადავრჩთ, მაგრამ ხვალ რა გვეშველებაო. ასე გრძელდებოდა სკოლის დამთავრებამდე.

წერილის სათაურში შემთხვევით არ მიხსენებია მდინარე სუფსა. ჩემი თანაკლასელები, მე და ჩემი ძმის კუკურის გარდა, ქალაქში ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველა მათგანს ჩვენთან, სოფელ ბაილეთში წამოსვლას და მდინარე სუფსაში ბანაობას არაფერი ერჩიათ. ერთხელაც, შაბათს გაკვეთილების შემდეგ, ჩვენთან წამოვიდნენ **ტოგო უჯმაჯურიძე, ნოდარ სურგულაძე, ნილოსი გუგუნავა, მურად დარჩია, გენო მითაიშვილი, გიორგი ხლაბისტოვი.** შაბათსა და კვირას ორშაბათიც მივაყოლეთ და საღამოს ჩვენებურადაც მოვილხინეთ, რის გამოც დილით სკოლაში წასვლა ვერ შევძელით. სამშაბათს, როცა სკოლაში გამოვცხადდით, მასწავლებლებმა ისეთ დღეში ჩაგვაგდეს, არათუ ბანაობა, სუფლისკენ გახედვაც არ გვიფიქრია.

ძალიან მეგობრული კლასი ვიყავით, ერთმანეთისადმი პატივისცემით გამსჭვალულნი, აკადემიური მოსწრებითაც გამოვირჩეოდით. შემდეგ ყველა მათგანმა წარმატებით დავამთავრეთ უმაღლესი სასწავლებლები და ერთგულად, მთელი პასუხისმგებლობით ვმუშაობდით საპასუხისმგებლო სამუშაოებზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი დღეს ჩვენს შორის აღარ არის. აი ისინიც:

გურამ კუნჭულია – დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტები. წლების მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა პრესასა და განათლების სისტემაში.

ტოგო უჯმაჯურიძე – დედამით ობოლი, ოზურგეთის საბავშვო სახლში გაიზარდა. სკოლა მედლით დაამთავრა. წარმატებით ჰქონდა დამთავრებული მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ფაკულტეტი. მუშაობდა ქუთაისში სპეციალობის მიხედვით.

ვლადიმერ მხატვარი – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მურად დარჩია – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, მუშაობდა ანასეულის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

ნილოსი გუგუნავა – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი, მუშაობდა ოზურგეთის ქალაქის საბჭოში, გამწვანების აგრონომად.

ნუგზარ ქინქლაძე – დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, წლების მანძილზე მოღვაწეობდა პრესაში, იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარი რესპონდენტი.

კუკური მამულაიშვილი – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, წლების მანძილზე მუშაობდა სამშენებლო ორგანიზაციებში მთავარ სამუშაოთა მწარმოებლად.

ამირან ვირებოვი – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი, მუშაობდა ჩაის მრეწველობის სისტემაში მთავარ აგრონომად.

პავლე ჩხატარაშვილი – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი, მუშაობდა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე.

რეზო ლომაძე – დამთავრებული ჰქონდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მუშაობდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე მშენებლობის ხაზით.

რეზო რუსიძე – დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მუშაობდა ბათუმში, ვაჭრობის სამინისტროში განყოფილების გამგედ, მინისტრის მოადგილედ.

შრომის სახელოვანი გზის განვლის შემდეგ, დღეს დამსახურებულ პენსიაზე არიან **არსენ კეჭაყმაძე** – ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი; **ნოდარ სურგულაძე** – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **ვალერიან ჩანჩიბაძე, მიხეილ ცენტერაძე**, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრები; **იური ჩხაიძე, გენო მითაიშვილი, დავით შავიშვილი** – ცნობილი სამეურნეო მუშაკები; **ამირან მამულაიშვილი** – ამ სტრიქონების ავტორი.

ყველა ზემოჩამოთვლილი ადამიანის მიერ განვლილი გზა სამაგალითო და მისაბაძია ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

ამირან მამულაიშვილი,
ოზურგეთის ვაჟთა საშუალო სკოლის 1949 წლის კურსდამთავრებული, სწავლული აგრონომი, ჟურნალისტი

რაიონული პირველობა ჭადრაკში აკაკი გოგუას გამარჯვებით დასრულდა

ქეთი ბოლქვაძე

ჭადრაკში ოზურგეთის რაიონის ჩემპიონატი ხუთ დღეს გრძელდებოდა. დასკვნითი დღე, 11 ნოემბერი გამარჯვებულებისა და პრიზიორების დაჯილდოებას დაეთმო.

პირველ-მეორე ადგილები 8-დან 6-6 ქულით გაიყვეს აკაკი გოგუამ და მიშიკო ქურიძემ. კოეფიციენტით ჩემპიონის ტიტული მიეკუთვნა აკაკი გოგუას.

მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში თანაბარი, 5-5 ქულა დააგროვეს თორნიკე მახარაძემ, დავით კიღურაძემ და გივი სიამაშვილმა. პრიზიორის ბედი აქაც კოეფიციენტით გადაწყდა – თორნიკე მახარაძე მესამე ადგილოსანია.

ოზურგეთის რაიონის ახალი ჩემპიონი აკაკი გოგუა 22 წლისაა. ამ გამარჯვებამდე ის რამდენჯერმე იყო ოზურგეთის ჩემპიონატის პრიზიორი. აკაკი მხოლოდ ინტელექტუალური სპორტით არ არის დაკავებული. ანალოგიური წარმატებები აქვს ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. წლევანდელ სახალხო დღესასწაულ ასკანობაზე გამართული საფეხბურთო ტურნირი მისი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. რაც შეეხება წლევანდელ რაიონულ ჩემპიონატს მინიფეხბურთში, აქ აკაკი გოგუამ ლომის წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში. გოგუა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, მასვე გადაეცა ბომბარდირის პრიზი.

მეორეადგილოსანი მიშიკო ქურიძე 14 წლისაა, მონაწილეობდა 2010 წლის ევროპის ჩემპიონატში, სადაც პირველ ათეულში მოხვდა. მიშიკო შეუპოვარი მოჭადრაკეა, მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება.

რაც შეეხება III საპრიზო ადგილზე გასულ თორნიკე მახარაძეს, ის მხოლოდ 11 წლისაა, რაიონის წლევანდელი ჩემპიონია თავის თანატოლებში. უდავოდ დიდი მომავლის მოჭადრაკეა.

მიშიკო ქურიძე და თორნიკე მახარაძე ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები არიან, მათი მწვრთნელია ელგუჯა ურუშაძე.

საპრიზო ადგილებზე გასული ოზურგეთელი მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ გურიის პირველობაში, რომელიც დეკემბერში ჩატარდება.

„არწივები“ აბსოლუტური შედეგით ლიდერობენ

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირის სარაგბო გუნდი „არწივები“ დასავლეთ საქართველოს რეგიონალ ჩემპიონატში აბსოლუტური შედეგებით ლიდერობენ.

12 ნოემბერს გუნდმა მორიგი, მეშვიდე მატჩი გამართა სენაკში, ადგილობრივ „ჯიხა არმიისთან“ და დაძაბულ ორთაბრძოლაში ანგარიშით 18 :14 დაამარცხა მასპინძლები.

ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა ზედიზედ მე-7 გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს. წლიის ბოლო მატჩს „არწივები“ ჩაატარებს 17 ნოემბერს საჩხერეში, ადგილობრივი „ჯრუჯის“ წინააღმდეგ.

გათამაშების ცხრილი 13 ნოემბრისათვის:

	თ	მ	ფ	წ	+პ	+ნ
1. „არწივები“ ოზურგეთი	7	7	0	0	4	0
2. „ჯრუჯი“ საჩხერე	7	4	1	2	3	0
3. „ჯიხა არმია“ სენაკი	8	4	1	2	2	1
4. „მეკობრეები“ ჩაქვი	7	2	0	5	0	1
5. „ფირალები“ ქედა	7	0	0	7	0	0

გასულ კვირას „ბ“ ლიგის გათამაშებაში მოასპარეზე „არწივების“ ახალგაზრდულმა გუნდმა (1998 - 2000 წლებში დაბადებულები) საკუთარ „ზვანი არენაზე“ ბათუმის „ბათუმს“ უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით 25 : 0 დამარცხეს ის.

„არწივების“ ორი მოთამაშე – სოსო ფირცხალაიშვილი და ამირან თავართქილაძე მიიწვიეს აჭარის ახალგაზრდულ ნაკრებში.

დიდი მადლობა ზვიად კვაჭანტირაძეს და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს!

ჩემს დეიდაშვილს აქვს გულის მძიმე დაავადება და სჭირდება აორტო-კორონარული შულტირება, რომელიც ჩვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. დასახმარებლად მივმართე მაჟორიტარი დეპუტატის, ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს. ბიუროს თანამშრომლებმა ყურადღებით მომისმინეს, გულთან მიიტანეს ჩემი ოჯახის მდგომარეობა და მათი მეშვეობით ზვიად კვაჭანტირაძემ გამიწია შუამდგომლობა ჯანმრთელობის მინისტრთან, რომელმაც ჩაგვირიცხა 1000 ლარი.

დიდ მადლობა დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძეს და მის ბიუროს თანადგომისა და დახმარებისათვის!

ლამარა გურეშიძე.
სოფელი შემოქმედი.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, სამთო ქიმიის ქ. №8 (ბინა 11) ერთოთახიანი შავი კარკასი, რკინის კარით.
ფასი 2500 $
ტელ: 599 58 75 32.
ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქ. №21-ში (ბინა 1) სამოთახიანი ბინა (84 კვმ) ფასი 15 000$
ტელ: 599 58 75 32.

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები მაია, ზურაბ ჟღენტები; შვილიშვილები მამუკა, თამუნა, ნანი; შვილთაშვილები გიორგი, ნინო; სიძეები გიორგი ჩავლეიშვილი, სკოტი ჯორდანი; რძლები მარიკა ჟღენტი, ლელა ჩავლეიშვილი; მანანა როკიშვილი, უახლოესი ნათესავები იუწყებიან **მარიამ პავლეს ასული მამონოვას** გარდაცვალებას.

პანაშვიდი 17. XI 17 სთ. დაკრძალვა 18.XI 15 სთ. (გამოსვენება ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №16).

ნუგზარ, თინა, გიორგი ასათიანები, ნინო ნიკოლაიშვილი, რევაზ, ხათუნა ჯინორიები იუწყებიან **მარიამ მამონოვას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე